№ 205 ოქტომბერი 4, კვირა 1887 ოქტომბერი 4, კვირა № 205

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოვ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდჟეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ მმართველობა სთხოვს საზოგადოების წევრებს, მობრძანდნენ საზოგადოების წლიურს კრებაზე, კვირას, 4 ოქტომბრისათვის, დილის თერთმეტს საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, რათა მოისმინონ წარსულის წლის ანგარიში, მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და აირჩიონ ახალი წევრები.

ტფილისი, 3 ოქტომბერი

ამას წინად ბ-ნმა ფრენკელმა გამოსცა ქართულიდგან რუსულს ენაზე ნათარგმნი მეფის ვახტანგ მე-VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც შეადგენს უდიდესს და მეტად ძვირფასს ნაშთს ჩვენის ძველებურის კანონ-დებულებისას. დღემდე რუსულს ენაზე მხოლოდ ერთხელ იყო ხსენებული სამართლის წიგნი გადათარგმნილი და ისიც ამ საუკუნოს პირველს წლებში და ეს თარგმანი იმოდენად იშვიათად საპოვნი იყო, რომ ჩვენის საზოგადოების უმრავლესობამ არც-კი იცოდა, იყო თუ არა მეფე ვახტანგის ნაწარმოები გადათარგმნილი რუსულს ენაზე. არამც თუ რუსულს თარგმანს დავეძებდით და ვზრუნავდით მასზე, არამედ კინაღამ ქართული დედანიც დავივიწყეთ იმ ზომამდე, რომ ქართველთა უმრავლესობას გაგონებით თუ გაუგონია, რომ დედამიწის ზურგზედ არსებობს ქართული კანონ-დებულება, თორემ შესწავლით არ შეუსწავლია ნაწარმოები დიდებულის მეფისა, ის ნაწარმოები, რომელსაც ეგოდენ ძლიერი ზედ-მოქმედება ჰქონია ჩვენს ყოფა-ცხოვრებასა, და ზნე-ჩვეულებაზე. ეს ზედ-მოქმედება გვაჩვენებს, თუ რამდენად გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ მე-VI-ის სამართლის წიგნი.

ეგ სამართლის წიგნი სწორედ რომ თვალ-საჩინო ნაშთია ჩვენის წარსულისა, ისეთი ნაშთი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენის წარსულის შესასწავლელად, გამოსაძიებლად, არამედ აღმოსავლეთის ზოგიერთა სხვა ერთა წარსულის გამოსაძიებლადაც. მეცნიერებისა და მწერლობისათვის მეტად საჭიროა ამ ნაშთის საფუძვლიანად შესწავლა, რადგანაც ამ გვარის შესწავლის შემწეობით შესაძლოა გამოვიძიოთ არა მარტო ჩვენის წარსულის ღირსება და ნაკლულევანება, არამედ დღევანდელის ცხოვრების ზოგი ხასიათიც. მართლადაც, მეცნიერნი უკვე ყურადღებას აქცევენ ჩვენს წარსულს, ჩვენს ცხოვრებაში ჰპოვებენ ბევრს საჭიროს და საინტერესო სამეცნიერო მასალას და სხვათა შორის დიდის ყურადღებით იძიებენ მეფე ვახტანგის კანონებსაც, რომლებითაც, როგორც მიუდგომელმა დაკვირვებამ აღმოაჩინა, შესაძლოა ადამიანმა დღესაც იხელმძღვანელოს ზოგი ერთ შემთხვევაში, ვახტანგ მეფის წიგნი გვიჩვენებს ზოგიერთს განსაკუთრებულს თვისებას ჩვენის ცხოვრებისას, განსაკუთრებულს ზნე-ჩვეულებას ჩვენის ერისას, ისეთ თვისებათა და ზნე-ჩვეულებათა, რომელნიც შეუძლებელია კაცმა უყურადღებოდ დასტოვოს, თუ რომ მართლა განზრახვა აქვს ჩვენი წარსული შეისწავლოს და მით დღევანდელი ჩვენი ცხოვრება შეიგნოს და სიმართლის, პირუთვნელის თვალით შეჰხედოს მას.

ბ-მა ფრენკელმა დიდი სამსახური გაუწია იმათ, ვისაც სურვილი და განზრახვა აქვს ჩვენი ყოფა-ცხოვრება შეისწავლოს. ბ-ნ ფრენკელის გამოცემა მეტად საჭირო იქნება რუსულის მეცნიერებისა და მწერლობისათვის, რომელნიც უფრო კარგად გაიცნობენ საქართველოს წარსულსა და დღევანდელს ცხოვრებასა. რაც მეტს ყურადღებას ათხოვებენ ჩვენს ცხოვრებას, მით უფრო წარმატება დაეტყობა მას; და აი სწორედ ამისათვის ბ-ნი ფრენკელი დიდის მადლობის ღირსია...

რუსულს გამოცემაში დაბეჭდილია ბ-ნის ფრენკელის წინა-სიტყვაობა, რომელშიაც გამომცემელს განუმარტავს ზოგი განსაკუთრებული თვისებანი ვახტანგის კანონ-დებულებისა და წარსულისა. ფრენკელის აზრით, ვახტანგის კანონები იმ დროს ევროპიულ კანონებზე მაღლა სდგანან კაცთ-მოყვარეობით, ასე რომ ქართულმა კანონმა არ იცის სიკვდილით დასჯა, მაშინ—როდესაც მაშინდელ ევროპის კანონები სისხლით არიან დაწერილნი. იმავ ფრენკელის აზრით, ზოგი ნაწილი ვახტანგის წიგნისა შესანიშნავია იმით, რომ იგი ზედ-გამოჭრილია ქართულს ცხოვრების კვალობაზედ. ის კანონები, რომლებიც შეეხებიან წყლის მფლობელობასა და მიწის რწყვასა, დღესაც შესაძლოა მხედველობაში მიიღონ, რათა წყლის მფლობელობა მკვიდრს ნიადაგზე დააყენონ და აქაურ მკვიდრთა თავიდამ ააცილონ მრავალი დავიდარაბა და უსიამოვნება.

დრო არის ჩვენც ვიზრუნოთ მასზე, რომ ქართული ძველი კანონ-დებულება შევისწავლოთ; ამისათვის საჭიროა მომეტებული ყურადღება ვათხოვოთ ვახტანგის სამართლის წიგნს, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ დღემდის მხოლოდ ხელ-ნაწერებში იპოვება, ასე რომ ქართველი მკითხველი საზოგადოება მოკლებულია საშუალებას გაიცნოს ძველი კანონ-დებულება. აი, ამ ნაკლის შესავსებლად აუცილებლად საჭიროა დავბეჭდოთ და გამოვცეთ ქართულს ენაზე იგი კანონები. ამ გვარის გამოცემის წყალობით შესაძლოა მომეტებული ცნობის-მოყვარეობა აღიძრას ჩვენს საზოგადოებაში, რომელსაც საშუალება მიეცემა უფრო საფუძვლიანად და გულ-დასმით შეისწავლეს წარსული საქართველოს ცხოვრება.

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

*** 5 ოქტომბერს, ორშაბათს, საღამოს რვა საათის ნახევარზე, იქნება ქალაქის საბჭოს კრება. განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) თხოვნა ქ-ნის ეორონინისა მასზედ, რომ უზღონ ცხენი, რომელიც მილის წყლის არხში ჩავარდნილა.

2) თხოვნა ვასილი კადურინისა მასზედ, რომ მოიშალოს ბოგირი ვერის ხიდთან და გაუქმდეს გამგეობის ხელ-შეკრულობა მასთან.

3) თხოვნა ქ-ნის ზახაროვისა ბაქის აცილებაზე.

4) მოხსენება გამგეობისა სტიპენდიის დაწესებაზე ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სხვა-და-სხვა კაცების მიერ შემოწირულის ფულითა.

5) თხოვნა ქერივის ნინო ბელსკისა მასზედ, რომ გადადებულ იქმნას მისი ვალი და ეპატიოს ჯარიმა.

6) თხოვნა პოლკოვნიკ ვინნერისა მასზედ, რომ მიეცეს იჯარით საქალაქო მიწა გასამართავად დინამიტისა და თოფის წამლის საწყობისა.

7) თხოვნა მათიოზ და ავეტიქა მალეროვებისა, გრიქურ ავთანდილოვისა და სხვებისა მასზედ, რომ დათხოვნილ იქმნას ეხლანდელი იჯარადარი სახელმწიფო მიწისა, სადაცა სწვავენ გაჯსა, და მიეცეთ ეს მიწა ხსენებულ მთხოვნელებს.

8) აზრი ხმოსნის თავად მაჩაბლისა მასზედ, რომ დაწესდეს კომისია, რომელმაც უნდა წინადვე გადასინჯოს ხოლმე ყოველივე საჩივარი, მიმართული საბჭოსადმი.

9) საჩივარი ხმოსან იზმაილოვისა შესახებ უადგილო სიტყვებისა, რომელიც იხმარა ხმოსანმა თავ. მიქელაძემ საბჭოს კრებაზე აპრილის 13 1887 წელსა.

10) აზრი ხმ. ნიკოლაძისა მასზედ, რომ გადაისინჯოს საბჭოს დადგენილობა 4 მაისს 1887 წ. შესახებ საურთიერთო დაზღვევისა.

11) პასუხი ფინანსთა მინისტრისა ქალაქის თხოვნაზე, რომ ტფილისი მიწერილ იქმნას მეორე ხარისხის ქალაქებთან პატენტის გადასახადში.

12) თხოვნა ლიუტერანთა სასუ-

ფელეტონი

თალლაური

ნაწილი პირველი

I

ის იყო მთვარე ჰქრებოდა,
გორს იქით ეფარებოდა;
ჯარად გაშლილი სხივები
ქალის თმათ ეფერებოდა;
ალმაცრად გამოსხლეტილი
მთის წვერებს ეფინებოდა;
თითქო მისხლეტას ვერ ჰთმობსო,
აკვდებოდ-ეკონებოდა.
ზვავის ნატვეფსა ხევ-ხუვსა
პირები აჰმწვანებოდა;
თოვლი, აპრილის ნალახვრი,
მთებზედ აქა-იქ ჩნდებოდა.
აგერა მთვარეც ჩავიდა,
ცა ღიღობს ვარსკვლავიანი;
სადმე დაბურულ ადგილსა
ბუვი გაჰკივის ხმიანი.
ისაც დაჩუმდა... მიწყნარდა
მთის ღელე ნადირ-მგლიანი;
ნაზ გაზაფხულის მაშვენნი
ბუჩქში მიყუჩდენ იანი;
თითქო იორიც შეჩერდა,
უმისოდ აგრე ხმიანი.
ნეტავი ყველა იმასა,
ვინც-კი არ არის მტრიანი!..
მიწყნარდა კოშკიც მაღალი,
გორ რო ჩამოჰდგამს ტყიანი.

II

კოშკს იჯდა ქალი მწყაზარი,
როგორც ცისკარი დილისა;
თავს ივარცხნიდა ლამაზი,
თუმცა დრო იყო ძილისა.
გიშრის თმანი ბროლის ყელსა
დაჰხვეოდნენ ნისლებურა;
მელნის ტბანი ანათებდეს,
პირი უშუქს მთვარებურა.
იქით უჯდა დედაბერი,
მატყს ართავდა კერის პირსა;
ცეცხლის შუქი მიჰდგომიყო
მოყვითანო ბებრის პირსა
ქალმა საქმე გაათავა,
ჩამაიქაპნა თმანია;
მიუჯდა ისიც კერასა,
მიიხვნა ფარტენანია[1]),
უთხრა: „ჩემო დედამთილო,
არ ვიცი რაა ესაო?
გული რაღასაც მიქადის
დილით აქამდე დღესაო“.

—შენ დამასწარ, თორო ადრე
მეც უნდ მეთქო, ქალილამა;
რაც თალლაურა წავიდა,
სულ ცუდად ვარ, დედილამა.
გულმა სუ ცეცხლში ჩამაგდო,
სუ რასღაც მეუბნებაო;
მეორ-მესამე დღე მიდის,
სიზმრები მეჩვენებაო.
ვაჰმე! თუ შენ რაიმ გვენოს,
მინდორთ გაზდილო, ველთაო.
ღმერთო, მშვიდობით მომგვარე
ი ჩემი დედის ერთაო!
რა ძნელი რაიმა ვნახე,
ღმერთო დამწერე ჯვარია;
არ დამსვა ცარიელია,
არ მიმიჯარო კარია!
მითომ სამ წვიმა მოიდა,
დაიწყო დიდი ავდარი;
ცას ცეცხლი ეკიდებოდა,
მიწას გაჰქონდა ზანზარი.
თან სეტყვა წამაუშინა,
გარეგვნა მთა და ბარია,—
ჩდილებში[2]) დაჰსქდა ზვავები,
ჩვენს კოშკს მოადგა ღვარია.
მე, შენ და თალლაურაი,
სანამ მოჰგლეჯდა ლიბოსა[3]),
ჩავსხედით კიდობანშია—
გვერდიც ჩამოჰსქდა ციხესა.
წყალმა წაგვიღო სამნივა,
იქით და აქათ ვიდოდი:
„მიშველეთ, თქვენი ჭირიმეთ!“
გამომელვიძა—ვტიროდი.

III

ლაქვარდი ციაგს მიბნელდა,
შორს ისმის ივრის შხივილი;
რძალ-დედამთილის ტარებსა
კოშკში გაუდის წივილი.
მრავალან[4]) გადაიხარნენ,
ირმის ნაფრენნი[5]) დაჩნდენო,
შვიდნი სულთუხის ტარანი[6])
ივრის ხეობას გახდენო.
ათასნი გუნდნი ვარსკვლავნი
ცრემლად ტირიან ცაზედა;
გაუშვავთ მაღლა საჯდომი,
ჩამოშვებულან წყალზედა.
თალლაურაის ციხესა
ჭირი ადგება კარზედა.

IV

ნუ ჰდიდობ, თალლაურაო,
ვაჟო, ნუ მოგწონს თავია,
გერჩივნოს თარეშს დაეხსნა,
ჭარს დაანებო თავია.
ფშავში გაქებენ ქალები
ვაჟკაცსა ედემს გაზდილსა,
მარტო ცხვარ-ძროხას სად დაჰტევ,
ლეკეთით გადმორეკილსა?
ნუ გინდა ჭარელთ ტყვეები,
დედათ ნუ ამგლოვიარებ,
თორო მოგხვდება ბოლოსა,
შენ შენსა აამტიარებ.
„თოფი ჭარელთაც იციან,
საპირის-წამლე რქისაო;
გადმოსვლა ჭიუხებშია,
ხმარება ხანჯრებისაო.“ [7])

V

„თალლაურაი ცხვარშია“,
უთქომისთ დალისტანშია:
„ცოლ-დედან დაუწირიან
ღვთის ინაბარას სახლშია“.

---

[1]) ფარტენა—დაჩეჩილი მატყლი, ფთილა.

[2]) ჩდილი—ადგილი, სადაც მზე ძ კირადა ჰხვდება და თუ ჰხვდება, ისიც მცირე ხნობით.

[3]) ლიბო—სამირკველი.

[4]) მრავალანი—მრავალი—ექვსი წვრილ ვარსკვლავის გუნდია.

[5]) ირმის ნაფრენნი—ამას ფშაველები უწოდებენ იმ ნათლის ზოლებს, რომლებიც ბნელ ღამეში დაფანტულ წვრილ ნისლის ქარავანივით მოეტყობიან ცაზედ.

[6]) სულთუხის ტარანი—ჯვარის მგზავსად დაწყობილი ვარსკვლავებია, მრავალს მოჰ დევს.

[7]) ხალხურია ეს შაირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერო რჩევის წევრისა, ფრიდრიხ ვეტცელისა, მასზედ, რომ შეიცვალოს დაფასება ქონებისა, რომელიც ეკუთვნის წმ. პეტრესა და პავლეს ეკკლესიას.

13) თხოვნა მართა ფილიპოვისა მასზედ, რომ ეპატივოს დარჩენილი ვალი დაფასების გადასახადისა.

14) თხოვნა სარქის ყარელოვისა მასზედ, რომ არ გამოართვან ვითომ დარჩომილი ვალი დაფასების გადასახადისა, რომელსაც შეცდომით ედავებიან.

15) თხოვნა მარიამ ტერ-ხჩატურიანისა, რომელიცა სჩივის შეცდომით დაფასებას მამულისას 1885 წ.

16) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ გამოერთვას დაფასების გადასახადი სახლს, რომელიც უჭირავს ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტს.

17) თხოვნა ქვრივის ჭრელაშვილისა მასზედ, რომ ნაწილი მისის ვალისა გადატანილ იქმნას ქალაქის დამხმარებელ თანხაზე.

18) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ ხარჯის აღრიცხვაში გადატანილ იქმნას ნაშთი იმ თანხისა, რომელმაც უნდა დაჰფაროს კუპონები ობლიგაციებისა ქალაქის პირველისა და მეორე სესხისა.

19) თხოვნა მარიამ ტოროშჩინისა მასზედ, რომ შესდგეს გეგმა პანასეევის ქუჩისა და დაიფინოს ქვითა.

20) თხოვნა ვექილოვების ვექილისა, ყორჩიბაშევისა, და საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც არ დაუმტკიცა შენობის პროექტი.

21) თხოვნა ნიკოლოზ სტეფანოვისა და დავით კირაკოზოვისა მასზედ, რომ მიეცეთ ნება გააკეთონ მოლობილი თავიანთ სახლის წინ კრუზენშტერნის ქუჩაზე.

22) აზრი ხმ. ნიკოლაძისა შესახებ ტფილისის საჯარო წიგნთ საცავისა.

23) მოხსენება გამგეობისა და მისი პროექტი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წესდებისა.

⁂ იუსტიციის მინისტრი, ბ-ნი მანასეინი, რომელმაც ტფილისში გასინჯა პალატისა და ოლქის სასამართლო, გუშინ გაემგზავრა კავკავისაკენ, სადაც დაჰყოფს რამდენსამე დღესა.

⁂ 1 ოქტომბერს აკურთხეს სამრევლო სკოლა ალექსანდრე ნეველის ეკკლესიისა კურთხევაზე ბრძანდებოდნენ სასულიერო სემინარიის რექტორი და ბ-ნი ოლქის მზრუნველი. საპატიო პირთა შორის დაესწრნენ სემინარიის მასწავლებელნი, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და ბევრნიც სხვანი. მრევლი ბლომად შეგროვდა. მამა რექტორმა წარმოსთქვა მშვენიერი წიტყვა ქალებისა და ვაჟების სწავლა-განათლებაზე. დაფასებული იყო დიდი ღვაწლი ამ ეკლესიის მღვდლის მეუღლისა, რომლის მეცადინეობასაც მიეწერება ამ სკოლის დაარსება. ბ-ნმა მზრუნველმა გამოიკითხა, ვინ უნდა ასწავლოს ბავშვებსა, და უთხრა, რომ ქართველ ყმაწვილებს უეჭველად ჯერ სამშობლო ენაზე ასწავლონ ხოლმე და შემდეგ გადავიდნენ რუსულზედ. მრევლზე სასიამოვნო ზედ-მოქმედება მოახდინა როგორც ბ-ნ მზრუნველის ლაპარაკმა, აგრეთვე მამა რექტორის სიტყვამ.

⁂ ხარფუხში მოწამლულა ერთი ოჯახი, რომელიც შესდგება ხუთის სულისაგან. ეს ხუთი სული მოწამლულა ლობიოს შეჭამადით. ხმა დადის, ვითომც განზრახ იყოს მოწამლული ეს ოჯახი ვიღაც ბოროტ-მომქმედთაგან, რომელთაც ჯერ არ ვასახელებთ დრომდის. შემდეგისათვის დაწვრილებით შევატყობინებთ მკითხველებს ამ სამწუხარო ამბის გარემოებას.

⁂ 30 სექტემბერს, არშაკუნის სახლის გვერდზე, პატარა შენობაში მოხდა შემდეგი ამბავი. რუსის ქალი ნ. ე., რომელიც ორი წელიწადი დაახლოვებულ განწყოფილებაში იმყოფებოდა რაჭველს ე. ბ—სთან, მისულიყო სტუმრად თავის მეგობარ ქალთან ხსენებულ პატარა შენობაში. საღამო ხანზე იქვე მისულიყო მისი მეგობარი რაჭველი. მოსვლოდათ ჩხუბი, რაჭველს გაეძრო ხანჯალი, დაეცა გულსა და მუცელში, მერე გავარდნილიყო გარედ და დამალულიყო. ქალი სამკურნალოში წაიყვანეს. დამნაშავეს-კი პოლიცია დაეძებს.

⁂ აბანოების ქუჩაზე კაცს ვერ გაევლება, ისე ატალახიანებულია იქაურობა. მიზეზი ის არის, რომ თათრის მეიდანზე მილის-წყალის კრანტი მოშვებულია და დილიდამ მოკიდებული თავისუფლად გამოდის წყალი. თურმე წყალი გაფუჭებულა და ისეთი ყვითელია, რომ კაცს გული აერევა მარტო დანახვითა, და დალევით ხომ ზედაც არავინ მიეკარება. ამის გამო უნდათ გაუშვან წყალი, მანამ არ გაიწმინდებაო.

⁂ ტფილისის საზნაურო სკოლის მასწავლებელთ გაუნაწილებიათ ერთმანერთში ზობოვის წიგნი — „საუბარი ბუნებაზე“ და უნდა შეერთებულის ძალით გადმოსთარგმნონ ქართულად. ამით ერთი საკითხავი წიგნი კიდევ შეემატებათ ჩვენს ყმაწვილებსა.

⁂ ძველ დამოჯნის გვერდზე აგვისტოს ნიაღვარმა ქუჩა მთლად მოთხარა და დაღრანტა. ქუჩის გამკეთებელი ჯერ არავინა სჩანს. ხოლო ამას წინად ერთს ადგილას, სადაც მეპურის დუქანია, სიმაგრისათვის ქვითკირის კედელი ააგეს და ღრანტები-კი ისევ უწინდებურად დასტოვეს ამოუვსებელი. უეჭველია, პირველსავე წვიმაზე აქ დაგუბდება წყალი და, თუ კედელმა გაუძლო, მეპურის დუქანს-კი უსათუოდ ძალიან დააზიანებს.

⁂ გორის მაზრა: მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სოფ. ურბნისი ძველად ქალაქი ყოფილა. ეხლა იქ ხშირადა ჰპოულობენ ძველს ნივთებს, მეტადრე დიდის წვიმებისა და თქეშის შემდეგ. ამ ნაპოვნებისაგან ვერცხლსა და ოქროს ჰყიდულობს ხოლმე ურბნელთაგან ერთი ვიღაც ქალაქელი ვაჭარი. ურიებმაც გაიკვლიეს გზა და გაეზიდებიან ამ ნივთებს. ამას წინად ერთს დედაკაცს ეპოვნა ძველი ოქროს ფული, ცალ-გვერდზე ჯვარი იყო გამოსახული, მეორეზე—კაცის სახე. ურიას 11 მანათი მიეცა ამ ფულში და მიერთმია თავის რძლისათვის პირის სანახავად. ვინ იცის, რა საისტორიო და სარქეოლოგიო განძი მიჰრთმევიათ სხვა-და-სხვა რძლებს პირის სანახავად, სად არის პატრონი!

⁂ თელავი: კვირას, 4 ოქტომბერს, თელავის მუშა-ხელოსნები ჰმართავენ სალიტერატურო საღამოს. შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ იმისა, რომ დაიბეჭდოს თხზულებანი განსვენებულ პოეტის დავითაშვილისა. წაიკითხავენ მთლად იმის ლექსებს და აგრეთვე წაკითხულ იქმნება ზოგიერთი ნაწერები ჩვენის გამოჩენილ მწერლებისა.

⁂ კახეთში ჩინებული ამინდებია. რთველი გაჩაღებულია. ხოლო ყურძენი არ არის კვლავინდებურად მწიფე, ასე რომ წელს ცოტა მომდარე ღვინოს ელოდებიანო.

⁂ გაზეთ „მწყემსში“ ვკითხულობთ: ტფილისის სასულიერო სემინარიის სამმართველომ ამ წელში მოსთხოვა იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამღვდელოებას ათას ხუთასი მანეთი სემინარიის მესამე კლასთან პარალელურ კლასის გასამართავად, რადგან შეგირდების რიცხვი მატულობდა. ამ ფულებთან კიდევ ერთხანად სთხოვდნენ სამას მანეთს. ვინაიდგან თავიანთი ხვედრი ფული გურია-სამეგრელოს სამღვდელოებამ არ წარადგინა, ამის გამო ეს განყოფილება არ გამართავენ, რის მიზეზითაც თხუთმეტი შეგირდი დაუთხოვნიათ სემინარიიდამ და არ იციან ამ საწყლებმა, სად წავიდნენ.

⁂ გაზ. „С.-Петер. Вѣд.“-ის სიტყვით, სურამის უღელტეხილზე გვირაბისა და ახალ ლიანდაგის გასაყვანად გზათა სამინისტრო სთხოვს მთავრობასა 4.400,000 მანათს. გარდა ამისა, სამინისტროს განზრახვა აქვს კავკავიდამ პეტროვსკამდე გაიყვანოს რკინის გზა, რომელმაც უნდა გადასჭრას კავკასიის დიდი ქედი. ამ განზრახულის გზის გასაყვანად საჭიროა ადგილის გამოკვლევა, რისთვისაც სამინისტრო ითხოვს 285,000 მანათსა, როგორც ამბობს იგივე გაზეთი.

⁂ გაზ. „Новое Обозрѣніе“ გვაცნობებს, რომ სამხედრო ოლქის სასამართლო გადააქვთ ოლგის ქუჩაზედ.

გურიის ამბები

კარგა ხანია, რაც „ივერიის“ მკითხველებისათვის წერილი არ მიმიწვდენია და ჩვენებური, გურული ამბები არ მიცნობებია. არ იფიქროთ, რომ სიჩუმის მიზეზი უთვილიყოს ანუ ჩემი სიზარმაცე და დაუდევრობა, ანუ საგაზეთო ამბების უქონლობა. არა, გურიაში ამ გვარი ამბები ბევრია და ვისაც უტვირთნია მოვალეობა მოამბისა, ვისაც უკისრნია, რომ თვალ-ყური ადევნოს, დაუკვირდეს აქაურს ყოფა-ცხოვრებას და ხან-და-ზმათ ემუსაიფოს მკითხველებსა, იმას ადვილად შეუძლიან თუ კვირაში ერთხელ არა, თთვეში ერთხელ მაინც საუბარი გამართოს გურიაზედ და მის ავ-კარგზედ. თუმცა კი ასეა, მაგრამ გაზეთში მაინც იშვიათად შეხვდებით აქაურს ამბავს. დიდი, დიდი, თთვეში ერთხელ, ან ორჯელ, ჩვენგანმა ანუ გარეშე ვინმემ აუწყოს რამე აქედგან, თორემ მუდმივი და დავალებული ამ საქმისათვის სად არის?

ამ პატარა წინა-სიტყვაობის შემდეგ მოვყვებით აქაურს ამბებს. ნუ მაწყენთ-კი თუ უსიამოვნო ამბავი ბევრი გამოერიოს სასიამოვნოზე, რა ვქნათ! სიცოცხლე გეფიცით, ჩვენთვისაც კარგი იქნება, რომ ყველა გურიის თემი იმ გვარსავე წარმატების გზას ადგეს, როგორც ბახვლები; ანუ ყველას ისეთი თავ-დადება და ხალისი ეტყობოდეს სწავლა-განათლების საქმეში, როგორც სურებლებს მაშინ ჩვენს ბედს მაღლა არ დაჰყეფდა და არავერი გვექნებოდა გაზეთში სატირალ-საჩივარი; მაშინ ჩვენც მხოლოდ სიკეთესა და წარმატებაზე ვილაპარაკებდით გულ-დამშვიდებით. ამ გვარ სასიქადულო მდგომარეობაში მეც, თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა, ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს და, ვგონებ, თქვენც არ იქნებოდით უმადური, რომ ნაცვლად სასიამოვნო და სასარგებლო საქმეებზედ მქონოდა თქვენთან საუბარი. მაგრამ სანამ მე ამას მოვესწრებოდე (თქვენ კი მოგასწროთ ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა), მანამ ათასის კაცის თავი გასძვება, როგორც იტყვიან აქ, და ის ამბებიც, რომელიც ამჟამად საყურადღებოდ მიმაჩნია თავის სიკეთით თუ სიავით, ხელიდგან წამივა და ხახა დაღებული დავრჩები. აბა, მაშ

შეყრილან ლეკის შვილები,
გადმოუვლავისთ მთანია;
სუ გაწკეპილნი ვაჟკაცნი,
სუ არჩეულნი ყმანია.
ცაზედ აფუვდენ ვარსკვლავნი,
ჰკრთებიან, ადივ-დადიან;
ედემში ზარი დარეკეს,
იორს ჩათვლემა ჰწადიან.
თაღლაურაის კოშკსკე
ტყე-ტყე ბილიკი მორბისო,
მაზედ სუ შალიპულები
ფეხ-ჩქარა ჯარი მოდისო.

პირველი მგზავრი (თაღლაურას დედის ძმის შვილია)

ნელა იარეთ, ნუ ჰჩქარობთ,
ერთურთს აყოლეთ ფეხები!
თორე სოფელი შაიტყობს,
აყეფდებიან ძაღლები.
ფრთხილად და ნუ გეჩქარიანთ,
თქვენ ჩემი გაიგონეთო:
ციხის და იმის სალებსა
ამ წამში ჩაგაბარებთო.

მეორე მგზავრი (ლეკი)

მივჯარდით, სისხლი ადუღდა,
ხმა მესმის ძახილისაო;
ყურში ჩამძახის ძმა მკვდარი:
„სისხლი აიღე ძმისაო“.
მეც ვიცი ჯავრის ამოყრა,
სამშობლოს დამლონებელო!
არა გიშავს რა, მანდ იყავ,
ბევრის ყმის მამწელებელო!
თუ შენ არა ხარ, ვისაცა
მურთუზის გაძე ვალია,
ეს ხო აქ არის, სახლშია,
ეთერის მგავსი ქალია.
კოშკს შამოგინგრევ ლიბოსა,
მგლებმა იყმუილონ მტვერზედა;
მანდ ყორანს გამოგიგზავნი,
ამბავს მოგიტანს წამზედა:
„ფშავშიით გამოერჩიე,
„ცეცხლზედ გისხამენ წყალსაო;
„სახლ-კარს გიბუგვენ, ცოლს გართმენ,
„დედას გიჭრიან ყელსაო“.

VI

ვერვინ მოჰკამა სოფელი,
ქვეყანა მრავალ გვარია;
ჰხამდა, რო ძმობა ჰყვაოდეს,
ღალატი რად-ღა არია?
მთებ სატირელზედ ჩამოსხდენ,
გამოიგლოვეს ქამია;
დათხოვდენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაყარა ნამია.
თაღლაურაის ციხესა
კარზედ მიადგა ჯარია.
ცით წამოვიდა ქვლობა,
მოხუცებულის ფერითა,
მთას დაჯდა გაჯავრებული
თეთრის სპეტაკის წვერითა.

VII

პირველი მგზავრი (ციხის კარზედ)

კარი გამიღე, მამიდავ,
მოგიველ გულის სტუმარი.

დედამთილი რძალს (ჯერ არ ესმისთ)

კარგა ხანია გავლილი,
მგონავ, დაწოლის დრო არი.

ყმარი (რძალი)

მითამ მინდოდა, თამარო,
ეს ტარი კიდევ ჩამერთო;
ნეტავი რასმე მეტყოდი,
ეგებ როგორმე გამერთო.
გულს ჯავრი, ნისლი გონებას,
თავზედ გენია დამენთო;
ფიქრის მორევში ჩავვარდი,
ეს არის ლონე წამერთო.

თამარი (დედამთილი)

კაცმა დრო უნდა იცოდეს
წოლა-ჯდომისა, ძილისა,—
სულთუხის ტარან გადვიდეს,
აგერ მამალიც ყივისა.

ყმარი

დაე იყიელოს, იყიელოს,
წესი ასრულდეს ღამისი;
ეგები გადაიყაროს
ჩემიც სიბნელე ქამისი.
ცისკარო, ამხანაგო,
უკუნი გამითენია...
მე-კი შამომწვდა რაღაცა,
შენ კი ვერ გაიგონია?
ხო არ მოიდენ თულები[8]),
ნეტარ რამ იბირდგნიალა?
ყრუად შამომწვდა ძახილი,
კარიც რამ შააზრიალა...

თამარი

შენ მაგას ამბობ, არ იცი,
რომე ესეთას ხევ-ხუევთა
სხვადაც სიფთხილე უნდარის
კაცსა ამფვრას ღამ-ღუმთა?
განა ტყუილად ამბობენ,
განა უბრალო ჭორია!?
ხო გაგიგონავ მაინცა,
ე მანდ რო დიდი გორია,
ძირ-ტკბილა, ბალახ-ბულახით
შართული კლდე რო არია;
მანდ თურმე მოჯალაფეეთი[9])
ადრითვე საბუდარია.
ღამე გამოვლენ გარეთა,
წყლის პირს ცეცხლს დააჭეხებენ;
არ გაუშვებენ გამვლელსა,
უთუოდ აიზრახებენ,—
ან წყალს მიჰცემენ მდინარსა,
ქვიშაში დაალეკებენ,
ან საყვავ-ყორნედ გაჰხდიან,
კლდეზედ სამ გადაავდებენ.
დევებიც[10]) აიშლებიან,
მზე რაკი დაბძანდებაო,
გზა-გზის პირთ ეხეტებიან,
სანამ არ გათენდებაო.
შენ გაგონილი გექნება,
პირქუშსა დალონებულსა
დევი რო ახლევნებიყო
ცხვარშიით მონავლებულსა.
ჯერ დაეძახა სახელი,
იმას ეფიქრა: „ვინ არი?“
სრულ ყველამ იცის, პირქუში

---

[8] ყაჩაღები

[9] მოჯალაფენი ერთი დასია ეშმაკებისა, ფშაველების აზრით.

[10] „დევი“ უფრო ადამიანს წააგავს, მხოლოდ გაირჩევა იმისგან თავის სიდიდით და სიმძლავრით. დევი ცდილობს ადამიანს სადმე მოახელთოს და შეჭამოს... ბევრჯელ მოხდება, რომ ადამიანს სადმე დაჰვედრებოდეს, მაგრამ ვერ დაჰწეოდეს. ამ შემთხვევაში ის თავის თილისმას მიჰმართავს და თუ აიზრახა, უთუოდ რამე ზიანს მიჰყენებს, მოაჯადოებს იმის ოჯახს. ყოფილა მითომ შემთხვევებიც, რომ კაცებს ბრძოლაში დაემარცხებინოთ კიდეც დევები, რისთვისაც ხალხს იმათთვის „გმირები“ დაურქმევიათ და ბოლოს სალოცავადაც გაუხდიათ. ასეთებია, მაგალითად, კოპალა და იახსარი ფშაველების მითოლოგიაში. იმათ სხვათა შორის ღვთის-შვილებს უძახიან.

„ყურად იღეთ სიტყვანი ჩემნი და გულის ხმა ჰყავთ ღაღადებაი ჩემი!“

იმ დროს, როცა ბახვის თემი ღრმად და გონიერად ჩაჰკვირვებია თავის ყოფაცხოვრებას და თავის ეკონომიურის მდგომარეობის საკეთილ-დღეოდ მოუსპია მრავალი უთავ-ბოლო ხარჯი და ცერემონიები აქაურის ქორწილისა, ტირილისა და ღლეობისა, დანარჩენის თემის მცხოვრებნი უაზროდ იღიმებიან ბახვლების საქებურ საქციელის გამო და არა თუ ცდილობენ მიჰბაძონ მათს მოქმედებას, არამედ ხელსაც უშლიან და ათას ნაირი თავისებური ჭორები, დაცინვა მოუგონიათ და გააქვთ და გამოაქვთ. «ეს სიძუნწეაო, უპურ-მარილობა არისო, არ გაჭამე და არ გასვი ჰქვიანო, სტუმრის სიძულილს ჰნიშნავსო», გაიძახიან ჩვენში და მსუნაგად იცქირებიან თავიანთ მეცლებზე, იმ მეცლებზე, რომელნიც ადრე ბახვში ღვთისმშობლობა დღეს არა ერთხელ გაუტიგნიათ მომეტებულის სასმელ-საჭმლითა. „აბა გვიყურეთო,—ამბობენ ეს ვაჟბატონები—ბახვლების ჯინზე ჩვენი ღლეობა და ტირილ-ქორწილი რა ამბით გადავიხადოთო“. ნეტავი იმათ, მკითხველო, რომ მეცლისა და ცუდაობის მეტი საზრუნავი არაფერი აქვთ! მაშინ, როდესაც ბახვლებს თავიანთის ადგილ-მამულის გასაპოხიერებლად წყალი გაჰყავთ თავიანთ სოფელში და არხსა სთხრიან მწკრივად და მმუშად დარაზმულნი, სხვებიც არ არიან უსაქმოდ, ისინიც სთხრიან არხს. არა, არხს კი არა ხნარცვსა, მინდორშიკი არა, რომელსამე სასამართლოდაწესებულებაში და უფლის ღონის-მიებით ცდილობენ ერთმანერთი გადაჩეხონ შიგ და დაჰღუპონ. ბახვშა რომ შემნახველ-გამსესხებელი ბანკი არსებობს, რომლიდგანაც გაჭირვებაში ყველას ადვილად და ქრისტიანულად შეუძლიან ფული ისესხოს, სხვა თემში და სოფლებში ათი-თხუთმეტია იმისთანა კერძო კაცი, რომლებიც არავითარს გაჭირვებულს არ შეიწყალებენ და არასოდეს თუმანს თთვეში ექვს შაურზე ნაკლებ არ ასესხებენ. ამასთან კიდევ ცოტა ნეუსტოიკიან-დავიდარაბიან ქაღალდსაც ჩამოართმევენ და შემდეგ გარჩეულია საქმე: „ისპოლნიტელნი ლისტით“ სასამართლოს ბოქაულთან ერთად დაგოგმანებენ ეს ვაჟბატონები სოფლებში, განცვიფრებიდგან განცვიფრამდე და ამ ბედკრულთ თანამდებობით ცარიელზე სტოვებენ. უნდა სიმართლე მოგახსენოთ და ი დალოცვილი ელისე წინასწარ-მეტყველი სწორედ ეხლა საჭირო, რომ სიკეთეს აქმობდეს და წამოდგებოდეს საფლავიდამ, თორემ აქაურ მოძღვართაგან ხსნა აღარ არის. მაშინ, როდესაც ბახვლებს, გამსჭვალულთ სწავლა-განათლების სურვილითა და ხალისით, აუგიათ მშვენიერი სკოლის სადგური, მოურთავთ სასკოლო კუთვნილებითა და იწვევენ მცოდნესა და მომზადებულს მასწავლებელს, სხვები, სადაც უკვე აგებული და მორთული სკოლა აქვთ, ურცხვად ღაღადებენ: «დაარღვიეთ, დაარღვიეთ საფუძველიანად იასაო». ამ სიტყვებს კვერს უკვრენ არა თუ ერის კაცნი, არამედ სულის მოხსნიც და თავიანთ მოძღვრებაში სხვათა შორის შემდეგსაც ჰქადაგებენ: „რა საჭიროა სკოლები? სწავლულებმა დაგვღუპეს და დაგვაქციესო: მარხვას ისინი აღარ ინახვენ და პარასკევს უქმად არა სთვლიან. მიწა მათის მიზეზით იძვრის და გვალვაც იმათი ბრალიაო“.

დათიკო ვერმიცანაშვილი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქარელი, 28 ენკენისთვეს. რამდენჯერ იყო სოფ. ქარელზე ნათქვამი, რომ ქარელში ბევრი ხალხი სცხოვრებს, ბევრი კარგა შეძლებულიც არის, ფულის მოგების საშუალებაც ადვილი შექმნათო, რადგან ამ სოფელში რკინის გზა გადის და მისი სადგურიც აქვე არისო, და სხვანი. ისიც არა ერთხელ უცნობებიათ მკითხველისათვის, რომ ქარელში, რომელსაც გარს არტყია თავისზე არა ნაკლები სოფლები, სკოლა არა აქვს ხალხსა. თუმცა სწავლის სურვილი ჰქონდა, მაგრამ არა ჰყავდა რიგიანი გზის მაჩვენებელი და გლეხს თუ კარგა არ შეასმანე, წინ არ გაუძეხი ამისთანა საქმეში, თვითონ, თუნდ რომ ესმოდეს კიდეც, გეტყვით: „აბა ე მაგითანეები რა ჩვენი საკასრებელია, შე დალოცვილო, გუთნის შებმა ხომ არ არის! რა ვიცით ათას ნაირი არზების ადგილები. სკოლის ფულს-კი დიდის კმაყოფილებით გარდავიხდით.“

ჩვენდა სანუგეშოდ, აქ მოვიდა ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი, რომლისაგანაც შევიტყეთ, რომ ქარელში სკოლის გახსნის საქმე დამტკიცებულია, სადგომი უნდა აშენდესო. დაათვალიერა ადგილები, სხვათა შორის ნახა ის ადგილიც, საცა თ. ციციშვილები წარსულ წელში სამეურნეო სკოლას და მასთან თეატრის გაკეთებას ჰფიქრობდნენ. დიახ, ნახა ის ადგილიც ბ-ნ დირექტორმა და ყველას ეს ამჯობინა. ეს არის ციციშვილების საერთო ადგილი და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ციციშვილები ამ ადგილს სასოფლო სკოლას შესწირავენ და, რადგან საერთოა და მაშასადამე სადავიდარაბო, ნოტარიუსის წესით დაუმტკიცებენ. წარსულისა და წლევანდელის წარმოდგენიდგან რაც სკოლისათვის ფული მოგროვდა, იმასაც შენობის გასაკეთებლად გარდასცემენ. თუ ხე-ტყესაც უსასყიდლოდ დაუთმობენ თთ. ციციშვილები, მაშინ ხომ სულ გაიაფდება სკოლის საქმე და ქარელს ერთი სამარცხვინო საქმეთაგანი ასცილდება თავიდამ.

ჩიტი გ—ძე

უცხოეთი

ბოლგარია. რუმინიის მთავრობას ნება არ მიუცია კარაველოვისათვის, რომ მისი გაზეთი ბუქარესტში იბეჭდებოდეს. მთავრობას მიზეზად ის მოუყვანია, რომ ჩვენი ქვეყანა ხელს ვერ შეუწყობს ასეთს საქმეს, რომელიც რუმინიისა და ბოლგარიის მეგობრობას დაარღვევსო.

— იმ დღეს, როცა არჩევანები დაიწყო, დუნაის მდინარის ნაპირა ქალაქებში დიდ-ძალი ჯარი იყო თავ-მოყრილიო.

— ალბანიაში უწესოებანი დაწყებილა.

— რეიტერის სააგენტო გვაუწყებს, რომ ტირნოვოს ახლო შეებრძოლნენ ერთმანერთს ჟანდარმები და ავაზაკნი. ჟანდარმებმა სდიეს ავაზაკებს ბელდვის მთებამდეო.

— პარიჟიდამ სწერენ გაზ. „Polit. Corresp.“: აქ თანაუგრძნობენ ოსმალეთის პროექტს ბოლგარეთის საქმის გადაწყვეტისას. შერევნილი კომისიაო, ამბობენ აქაური დიპლომატები,—მოახერხებს ბოლგარიაში ისეთი წესი აღადგინოს, როგორიც შეეფერება ბერლინის ხელ-შეკრულებასაო. ზოგიერთს სხვა სახელმწიფოს-კი არ მოსწონს ეს პროექტი და მეტადრე იტალია არ თანაუგრძნობს ასეთს კომისიასაო.

საფრანგეთი. გაზეთები Intransigeant-ი, Petit Paris-ი და Siècle, როგორც სწერენ „Новости“-ს დეპეშით პარიჟიდამ, გერმანიის მთავრობას აუკრძალავს ელზას-ლოთრინში.

— გენერალი კაფფარელი, რომელიც სამხედრო კომისიამ დამნაშავედ იცნა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, კორსიკელი ყოფილა და მეორე იმპერიის დროს ნაპოლეონ მესამის სამეფო კარის-კაცთა შორის სჭერია საკმაოდ დიდი ადგილი.

ინგლისი. ხმა დადისო, რომ მარკიზი სალისბერიც აპირობს ფრიდრიხსრუეში წასვლასაო.

— ინგლისს ძალიან სასიამოვნოდ დარჩენია კრისპის წასვლა ფრიდრიხსრუეში. გაზ. „Standard“-ი ამბობს, რომ ევროპის შუა-გულ სახელმწიფოთა კავშირს იგივე სურვილი აქვს, რაც ინგლისსაო.

— „Times“-ი ამბობს ამავე საგნის თაობაზე: ინგლისი ძალიან მოხარული იქნება, თუ გერმანია და იტალია მტკიცე საპოლიტიკო კავშირს შეჰკრავენო; ასეთს კავშირს სიხარულით ჩააბარებდა ავსტრია თავის ჯარსა და ლაშქარს და ინგლისი კიდევ—თავის ფლოტსაო.

— „Pall-Mall Gasette“-ი ამბობს, რომ გლადსტონის დასიც მომხრეა ინგლისისა და გერმანიის მეგობრობისაო. ამ გაზეთის აზრით, ეს ორი დიდი სახელმწიფო ბუნებური მეგობრები არიან ერთმანერთისაო.

იტალია. გაზეთები მეტად ბევრსა ლაპარაკობენ დღეს კრისპისა და ბისმარკის მიერ ერთმანერთის ნახვაზედ ფრიდრიხსრუეში. «ჩრდილო-გერმანიის გაზეთი» ამბობს ამ საგანზე: ერთი და იგივე ბედი ისევე ამეგობრებს ორს ერს ერთმანერთთან, როგორც ორს კერძო კაცს. ჯერ მაშინვე, ვიდრე გერმანიამ და იტალიამ შეიგნო, რომ ორივეს ერთნაირი ინტერესები აქვთ, ორივე ერმა და მათმა მონარხებმა, რომელთ მეფობის დროსაც შესრულდა მხურვალე სურვილი ამ სახელმწიფოების გაერთიანებისა, დიდი მეგობრობა დაიწყეს ერთმანერთში. აი რას ამბობდა სიტყვაში პირველი მეფე იტალიისა 15 ნოემბერს 1873 წ. «გერმანია და იტალია,—სთქვა ვიქტორ ემანუელმა,—ორივე ეროვნობის იდეის ტრიუმფალებამ შექმნაო. ორივემ თავისი ლიბერალური კონსტიტუციები მონარქიის საფუძველზე დაამყარეს. მონარქია ამ ორს სახელმწიფოში დიდის ხნის განმავლობაში იყოფდა თავის ერის ჭირსა და ლხინსა. გერმანიისა და იტალიის მეგობრობა ისეთია, რომ იმედია მშვიდობიანობა ევროპაში დიდხანს იქმნება დაცული»...

გერმანია. „Gazette piemontaise“ ასე აგვიწერს კრისპის მისვლას ფრიდრიხსრუეში: იტალიის მთავარ-მინისტრი დიდის სიამოვნებით მიიღო გერმანიის კანცლერმა. ოთახი ცისე-დარბაზის მარცხენა შენობაში მისცეს კრისპის. ამ დროს ფრიდრიხსრუეში რამდენისამე სეკრეტრის გარდა იმყოფებოდნენ აგრეთვე რამდენიმე აფიცერი და ფელოტში მოსამსახურენი. შუა-დღემდე ცუდი დარი იყო. მინისტრებმა ძალიან დიდხანს ითათბირეს. 4 საათზე მოვიდა დეპეშა იტალიის მეფისა; შემდეგ ბევრი სხვა დეპეშები მოვიდა კიდევ. ნაშუადღევ გამოიდარა და კარგი ამინდი დაიჭირა. კრისპიმა და ბისმარკმა ტყეში გაისეირნეს. ბისმარკი მარჯვნივ იჯდა, წვიმას პალტო ეცვა და ქოლგასავით დიდი შლიაპა ეხურა. კრისპის ბეჭვრიანალა ბეწვის ქუდი ეხურა, ყვითელი ყელსახვევი ერტყა და პალტო მხრებზე ჰქონდა წამოსხმული. მინისტრები საღამოს ხუთს საათზე დაბრუნდნენ სასახლის სადილად. საღამოზე კრისპი წავიდა ფრიდრიხსრუედამ, ბისმარკმა გამოთხოვებისას უთხრა კრისპის იტალიურად: buon viaggio! (მშვიდობის მგზავრობა მოგცესო!) კრისპის გამოსალმების დროს ფრანგულად უთხრა რამდენჯერმე ბისმარკს: Au revoir (ნახვამდისაო).

მაროკკო (აფრიკაში). მაროკკოს სულთანი მძიმე ავადმყოფია. თუმცა ახალი დეპეშები გვაუწყებენ, რომ სულთანს

როგორი ვაუკაცი არი.
ამ დროს, ასეთას ადგილსა
კარგი რა უნდა ჰცოდნიყო?
შავ-ნაბდიანის სახითა
კაცი რამ დაჰდევენებიყო.
მოჰგონებოდა მაშინვე,
და შიშის ელდა ჰცემოდა;
ფიცხლავ მიეცა სადავე,
საფერხეც [11]) კარგი ჰყოლოდა.
ქვათაც-კი ენა აიდგეს,
დევს ხმას აძლევდეს მთანია;
მოჰძახდა: „შენი შვილი ვარ,
ნუ მწირავ, წამიყვანია?“
თავად-კი გამოეხვეწა,
იმ დღეს შინ მისვლით იამა...
ღეროს რა კარგი მაუვა,
ფესვი შაჭამა ჭიამა!
შენსა მტერსა და დუშმანსა,
რაც იმასა ჰხვდა წილადა:
კუტი, დიდ-კბილა, ყურ-დიდი
წლის თავზედ ეშვა შვილადა!
რაკი მზე ჩაეფარება,
რაკი შამოჰკრავს ზინდ-ბანდი,
შინ ზის თუ გარეთ დაიალის,
კაცს სრულ თან დაჰდევს ხიფათი.

VIII

ხმა გარედგან

კარი გამიღე, მამიდავ,
მოგივიდ გულის სტუმარი;
იქნება ველარ გიცნია
მძლევრად [12]) მოსული ხუმარი?

დედამთილი რძალს

რძალო არ მოიტყუილე,
იძახის... ყური დაუგდე...
არავინ შამოგვიიარდეს,
კარს ხო ურდული წაუგდე?
ვაჲმე! როგორ დამაშინა
დიდმა შიშიანობამა!
გინდ არ იყოს, მელანდების,
შენმა ბედიანობამა.
აბა რა დასაჯეროა?!.
ამ დროს ხუმარა-კი არა,
ან ჩვენი ტყვედ წასხმა უნდა,
ან ქაჯმა ჩამოგვიარა.

ყამარი

როდემდის უნდა ველოდეთ
შიშს და ელდასა მტრისასა?
პურს ჩვენ ვერა ვჭამთ გემოზედ,
ვერც ცვარს ჩავიგდებთ წყლისასა!

ხუმარა (თალლაურას დედის ძმის შვილია)

ამას მესამედ ვიძახი,
რა დაგემართა, რა არი?
თუ შენ დაჰმძულდი [13]), უთხარი,
კარებს გამიღებს ყამარი.

თამარი

„დაგმათრახოს და დაგწყევლოს
ცხრამ წმინდამ გიორგიმაო!“
ცეცხლი მინელდა, ფურცელი
დააჭკნო იის ძირმაო.
ფერმა გადაჰკრა, შეფერხდა [14])
ბებერი მრავალ წლიანი.
ახალს ცვილივით გაყვითდა
ქალი პირ-სინათლიანი.
ღურბლები ამობოჟირდეს,
მიზეზიანობს სამყარო.
მოხუცმა წაიდუდუნა:
„ვაი შველე, ლაშარის ჯვარო [15]),
გრძნეულიაა, თუ კაცი,
ვინც იყოს ჩვენი მზვერველი,
შენის სახელის ჰირიმე,
შენ იყავ ჩვენი მფარველი“...

მაღლა

ვინა ხარ? რას დაეთრევი;
ასეთს შავ-შუაღამეთა;
თუ ქრისტიანი სული ხარ,
რას დაჰყიალებ გარეთა?

ხმა გარეთგან ხუმარასი

სტუმარი, მასპინძელობა
ძველის ძველადვე იციან;
მერე ხუმარას, მგონია,
შენთვის ძმისწულად იტყვიან.
მშიშარა, მონა [16]) ეგეთი
ჰჯობდა რო არა მყოლიყავ,—
ჰჩანს სიბერეში შეჰსულხარ,
ვაი, მოგიკვდი, მამიდავ!

თამარი

ჰჯობავ ლიშანი მიძახო,
დაეხსნა ლაპარაკებსა;
რაცა ხარ ერთხელ გაიგო,
მოვალ გაგიღებ კარებსა.

ხუმარა

ხმალი მაქვს დაზარნიშული
თალლაურაისეული,
ე მანდ კერის პირს რო მამცა
პირ-ბასრი ლეკი სეული.

თამარი (მოლხენა)

კინაღართ ჩემი სულ-ხორცი
დამბადებელმა წაწყმიდა!
რაც მოხუცებაში შედის,
გისულელდება მამიდა!
ჩქარა შამოდი, რო გნახო,
დავტკბე შენისა ცქერითა!
ღელეს ატირდა თამარი [17]),
მოოს, შორს იორი მღერიდა.
მოდის და მოდის ღურბელი,
ძირს ჰჩანს ფშაველების სახლები.
შუქს ჰკარგვენ, იხოშებიან
ციური ჭიაცეცხლები.
ცამ პირი მაიმარაგა,
თავ-თავ ქვე მხრები დახარა;
ცვრად დაიბერტყა ღურბელი,
ღვარმა ხევ-ხუვი დაღარა.
ნადირნი იჩქმალებიან,
ჯიხვიც კლდეს შაეფარება;
ასეთი უკუნეთია,
თვალი არ გაიჩხვერება [18]).
დრო და დრო ისმის რახრახი,
დარბის, იცინის მაცილი [19]);
მგზავრს გზას გაურკვევს სადამე
ქალის ეთერის სიცილი [20]).
წვიმა, ელვა და ქუხილი,
ყურთა ჰკრის მავნე ჩქამია.
ვაჲმე რა ძნელი დრო არი,
ვაი რა ძნელი ჟამია!

ბაჩანა

1885 წ.

---

[11]) საფერხე—ცხენი, რომელიც მარტო ზედ საჯდომადა ჰყავს კაცსა.

[12]) „მძლევარებს“ ეძახიან ფშავში ყველა საზამთროდ თბილ ქვეყნებში მიმდინარ ფრინველებს.

[13]) მძული—ზარმაცი.

[14]) შეფერხდა—შეჩერდა.

[15]) ლაშარის ჯვარი ფშავლების სალოცავია.

[16]) მონა—საწყალი, ბეჩავი.

[17]) ღელე—ადგილის სახელია ფშავში; ღელეში ფშავლები თამარ დედოფალსა ლოცულობენ.

[18]) თვალი არ გაიჩხვერება, ე. ი. თვალით ველარაფერი ვერა დაინახვება-რა სიბნელის გამო.

[19]) მაცილი—ავი-სული.

[20]) მგზავრს გზას გაურკვევს სადამე ქალის ეთერის სიცილი, ე. ი. ამ სიბნელეში მგზავრი ელვის შუქზე-ღა პოულობს გზას.

არა უშავს-რაო, მაგრამ მის ავადმყოფობის ამბავმა ერთი ალიაქოთი მოახდინა ევროპაში. მეტადრე ძრიელ დაფაცურდა ისპანია. ისპანიას ჰგონია, რომ თუ გინიცობაა მაროკკოს ხონთქარი გარდაიცვალა, მაროკკოში უწესოება მოხდებაო. ამ უწესოებას ხელზედ დაისვავს საფრანგეთი, დაიჭერს მაროკკოს და მიუმატებს ამ ქვეყანასაც თავის კოლონიებს აფრიკისას—ალჟირსა და ტუნისსაო.

ბიბლიოგრაფია

ქართლის ცხოვრება რუმიანცოვის მუზეუმისა.

ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე თავის წერილში «პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები» გვაუწყებს, რომ „ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე ადრინდელს სამს ვარიანტს ქართლის ცხოვრებისას, რომელთა შორის ერთი მხედრული (ხელთ-ნაწერი) რუმიანცოვის მუზეუმშიაო“ (გვერდი მე-19). ამ ვარიანტზედ მსურს მოვახსენო „ივერიის“ მკითხველებს ჯერ-ჯერობით რამდენიმე სიტყვა. როგორც დ. ზ. ბაქრაძეც ბძანებს, ეს ვარიანტი ყოფილა საკუთრება თეიმურაზ ბატონიშვილისა, რომელსაც მიურთმევია გრაფ რუმიანცოვისათვის:

„მათს ბრწყინვალებას გრაფს ნიკოლაი პეტროიჩს რუმიანცოვს კანცლერსა საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ გძღვნი.

წელსა 1821, ხოლო ქართულსა მეათოთხმეტსა მოქცევისასა წელსა 509. რუსულად: „Его Сіятельству Канцлеру Графу Николаю Петровичу Румянцеву.

Грузинскій царевичъ Теймуразъ Георгіевичъ“.

მეორე ფურცელზედ შემდეგს „უწყებას“ ვკითხულობთ.

უწყება მკითხველთათვის.

ქართლის ცხოვრება, შეკრებილი ვახტანგ მეექვსისაგან, რომელიცა ერთსა ზედა ნაწილსა საქართველოისასა იწოდებოდა ქართლის მეფედ; და გამეფდა იგი წელსა ქრისტესით 1719 და რაოდენთამე წელთა იმეფა, არა მრავალსა ჟამსა: ხოლო ვინადგან ჟამსა მისსა იყვნეს მრავალნი აღრეულებანი და ცვლილებანი საქართველოსა შინა, ამისთვის ვერა სრულიადის გამოწვლილვითა, არამედ რაოდენ ძალ ედვა ეგრეთ შეჰსთხზა; ვინადგან მას ჟამსა რომელიც ძველი ქართლის ცხოვრება იყო, იგი ვერა ჰპოვებს მრავალთა აღრეულებათ და ამოხსნათა გამო.

მესამე გვერდზედ ვკითხულობთ შემდეგს „შესავალს“:

შესავალი წიგნისა ამისა ქართლის ცხოვრებისა.

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო, ხოლო მეფემან ვახტანგ ძმან ლეონისამან და ძმის-წულმან მეფის გიორგისამან შეკრიბნენ სწავლულნი კაცნი, და სხვათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხვათა ენათაგანაცა გამოვიძიეთ და ესრეთ შევჰსთხზენით და აღვწერეთ.

ქართლის ცხოვრების შედგენაზედ კარგად ცნობილია ყველასთვის დ. ზ. ბაქრაძის აზრი და ამიტომ ამ საგანს გვერდს ავუქცევთ. მოვიყვანოთ ორიოდე საბუთს პროფ. პატკანოვის წინააღმდეგ. პრ. პატკანოვი იმ აზრს, რომ ქართლის ცხოვრება სომეხმა შეადგინაო, ამტკიცებს, სხვათა შორის, იმითი, რომ ჩვენი მატიანე აძლევს პირველს ადგილს ჰაოსს (სომეხთა მამათ-მთავარს) და არა ქართლოსს (იხ. მაგალითად „ვახუშტის ისტორია“, გამოც. ბ-ნ ბაქრაძის მიერ, გვ. მე-28). შესანიშნავია, რომ ვარიანტი, რომელზედაც ჩვენ ელაპარაკობთ, აძლევს უპირატესობას ქართლოსს: „თარგამოსის შვილები: 1, ქართლოს; 2, ჰაოს; 3, ბარდოს“... (გვ. მეორე).

შემდეგ: „დაიყვნენ ქართლოს და ჰაოს და ძმანი მათნი ყოველსა შინა ცხოვრებასა თვისსა ურთიერთისადმი სიყვარულ და შეწყ“. (გვ. 4)

მეტის ყურადღების ღირსია შემდეგი ადგილი (მეოთხევე გვერდი), სადაც მატიანე ქართლოსს იხსენიებს უფროსად:

„გარნა ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ესრეთ პატივ სცემდნენ ყოველნი ძმანი მისნა, ვითარცა მშობელს თვისსა“.

ბ-ნი პატკანოვი ამტკიცებს, ვითომც თავდა პირველად ქართველების ენა სომხური იყოო, ვითომც შემდეგ ფარნავაზ მეფემ მთელს საქართველოში გასცა ბძანება, ყველამ ქართული ილაპარაკოსო. როგორც დ. ზ. ბაქრაძეც ბძანებს, მომატებული ვარიანტები, რომელნიც მოიპოვებიან პეტერბურგში, გვაუწყებენ, რომ

„აქამდის (ხალხთა შემოსვამდე) ქართლოსიანთა ენა (ანუ ენა ქართლისა, მარამ დედოფლის ვარიანტით) მხოლოდ ქართული იყო“.

ამასვე ვკითხულობთ რუმიანცოვის ვარიანტში.

აქამომდე ხალხთა შემოსვლამდე ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსაც ზრახვიდეს; მაგრამ სხვა-და სხვა ტომთა შემოსვლის შემდეგ ქართველთაცა გარყვნეს ენა თვისი და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მოროთული.

ეს ორი საბუთი (ჰაოსსა და ქართლოსზედ და ქართულს ენაზედ) ასუსტებს პატკანოვის თეორიას, უკვე ძირეულად შერყეულს პატივცემულის დ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ააა. ...ნ...

მოსკოვი

წვრილი ამბები

— ბარონ გირშს კრაკოვში 880,000 მან. შეუწირავს თავ-შესაფარის გასაკეთებლად ებრაელ ყმაწვილებისათვის.

— 22 სექტემბერს ნასადილევის პირველს საათზედ ატტიკაში, საბერძნეთშია, მიწა ძრულა. ათინის ზოგიერთმკვიდრთ მიწის ძვრის შიშით სახლებისათვის თავი დაუნებებიათ და გარდახვეწილან. უფრო ძლიერადა ძრულა მიწა იონიისა და ციკლადის კუნძულებზე. პელოპონეზში მიწის-ძვრა უფრო სუსტი ყოფილა. კორინთის ოლქში მიწის-ძვრის გამო კასტრო და კსილოკასტრო დაქცეულა სულ ერთიანად. ხალხში არავის არა დაშავებია-რა.

— ტაიტის სასამართლოს სულ ერთიანად განუქორწინებია დედოფალი მარაუ და მეფე პომარე. დედოფალი უჩიოდა ქმარსა, რომ მეტად თავ-ქარიანის ზნეობისაა და არაყს ძალიანა სცემს თაყვანსაო.

— ნიუ-იორკს ახლო უცდიათ დინამიტის ყუმბარები ზღვათა მინისტრის და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთა თანადასწრებით. მიზნად ხომალდი ჰქონდათ და 75 გირვანქიანმა ყუმბარამ სულ ერთიანად გაანადგურა თურმე ეს ხომალდი.

— ბერლინში ამას წინად ერთის გერმანელის, გვარად პერლსის, საქმე ირჩეოდა. ამ პერლსს ის ბრალი ედებოდა, რომ საჯაროდ ეთქვა: «გერმანიამ საფრანგეთს ალზას-ლოთრინგი მოჰპარაო». პერლსისათვის 50 მან. ჯარიმა გადაუხდევინებიათ.

— ნეიზალცეში ვიღაცა დედაკაცს თავის ქმრის შინ არ ყოფნის დროს საკუთარის ხელით ჩამოურჩვია თავისი სამი ყმაწვილი; ერთი ყმაწვილი ექვსის წლისა ყოფილა, მეორე—ოთხისა და მესამე—წლინახევრისა. ამბობენ, რომ ეს ქალი სულით ავადმყოფიაო.

გასართობი

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი:

უგნურს მოკეთეს იგა სჯობს
ჭკვათა-მყოფელი მტერიო;
უგნური რასაც გიმოყვრებს—
ვით ბზე ნარევი მტვერიო.

აი სწორედ ასეთი საქმე დამართებია ვენის ერთს გამოჩენილს არტისტ-ქალს. ეს არტისტი-ქალი დიდი მოყვარულია თურმე ძველის-ძველ ნაშთებისა და არავითარსამე ფულს არ იშურებს, რომ ეს ნაშთები შეიძინოს. ამ ზაფხულს არტისტ-ქალს ახალი მოახლე დაუჭერია, სახელად ტინი, თითონ თბილს წყლებზედ წასულა საბანებლად, ჩაუბარებია ტინისათვის სახლი და დაუბარებია, რომ ყველაფერი რიგიანად და სუფთად შეინახეო. ქალბატონის წასვლის შემდეგ ტინის მთელი სახლი მიულაგ-მოულაგებია და როცა იმ ოთახში შესულა, რომელშიაც არტისტი-ქალი ძველ ნაშთებს ინახავდა, გაჰკვირვებია, ნეტა რად უნდა ქალბატონს, ეს ნატეხ-ნუტეხი რომ შეუგროვებიაო. ძველებური, მიწაში ნაპოვნი ჭურჭელი რიგიანად გაურეცხია, გაუსუფთავებია, გაუწმენდია და ლაქა წაუსვამს; ქანდაკებანისათვისაც ლაქა წაუსვამს და წებოთი მიუკრავს მომტვრეული ხელ-ფეხი; ძველებური არშიები გაურეცხია და გაუხამებია. ორი კვირა კანიდგანა ძვრებოდა თურმე გამრჯელი მოახლე, ყველა ძველი ნაშთები განახლა, განასუფთავა, პეწი მისცა; წარმოიდგინეთ, ძველებური იარაღიც-კი ისე გახეხა ფხვნილით, რომ გააპრიალა თურმე. აგერ არტისტი-ქალიც დაბრუნდა. ტინიმ თავ-მომწონედ დაატარა ოთახები და აჩვენა, რომ თქვენი ნამტვრევ-ნუმტვრევები აი როგორ გავამშვენიერეო. რასაკვირველია, უმეცარი მოახლე დარწმუნებული იყო, რომ ქალბატონი დიდს მადლობას მეტყვისო. მაგრამ მადლობის მაგივრად არტისტ-ქალმა შეჰკივლა და გულს შემოეყარა თურმე. როცა მობრუნდა, მაშინვე დაითხოვა გამრჯელი და ერთგული მოახლე, რომელიც ყველგან დადის თურმე და იმასა სჩივის, რომ ხალხნი მეტად უსამართლონი და სიკეთის დაუნახველნი არიანო.

**

ოდესელებს, სწორე მოგახსენოთ, დიდი სიხარული ჰმართებთ: ოდესაში გამოჩენილა ვიღაცა მოსამართლე, რომელსაც სწორედ რომ სოლომან ბრძნისეული საქმე ჩაუდენია.

ოდესის ორი მცხოვრებელი წაკინკლავებულან პატარა გოჭზე. ერთს გოჭს ორივენი ეპატრონებიან თურმე—ხავრიკიცა და შიშკოვიც. ხავრიკსაც მოწმები მიუყვანია სასამართლოში და შიშკოვსაც, რათა დაემტკიცებინათ, რომ გოჭი არა, მე მეკუთვნის და არა—მეო. ახლა ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, მოდი და გაიგე! იფიქრა თურმე, ბევრი იფიქრა საბრალო მოსამართლემ და ბოლოს როგორც იყო მოიფიქრა.

— აი რას გეტყვით, ბატონებოვო,—უთხრა მოპირისპირეთ, გავიყვანოთ ეს გოჭი ქუჩაზედ მოწმეთა თანადასწრებით და გავუშვათ: ვის სახლშიაც გოჭი მივა, იმისი იქნებაო.

მოპირისპირენი დასთანხმდნენ. დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით გაუშვეს გოჭი, გოჭმა კუდი აიბზიკა და ხავრიკის სახლში მივიდა თურმე.

— მე თანახმა არა ვარო, გამოუცხადებია შიშკოვს:—გოჭი იმდენად სულელია და უტვინოა, რომ თავის სახლის კარებს ვერ მიაგნოვო...

— მაშ აი რა ვქნათო, უთქვამს კვლავ ბრძენს მოსამართლეს:—აიყვანეთ ეგ გოჭი, დაჰკალით, ფურნეში მიეცით და შენ და ხავრიკი ერთად შეექეცითო.

— ძალიან კარგი, თანახმა ვარო! დაუძახნია შიშკოვს:—თქვენც გვეწვიეთ, ბ-ნო მოსამართლევ, დაგვიპატიჟნიხართო.

— ხმა ჩაიწყვიტეთ და აღარა სთქვათრაო, უთქვამს სასტიკს მოსამართლეს:—თქვენმა სიხარულმა გაგცათ და გაგამჟღავნათ. სამართლის თანხმად დამიდგენია, რომ გოჭი ხავრიკს ეკუთვნის, ხავრიკის საკუთრებაა და ვერავის შეუძლიან შეეცილოსო.

დეპეშა

2 ოქტომბერი

პარიჟი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბულანჟე დაუტუსაღებიათ ერთის თთვის ვადით. შემდეგ მინისტრთა რჩევა გადასწყვეტს იმასა, გადაყენებულ უნდა იქმნას თუ არა ბულანჟე სამსახურიდგან.

სოფია. საერო კრება დანიშნულია ოქტომბრის თხუთმეტისათვის. მმართველთ განზრახვა აქვთ წარუდგინონ დაუყოვნებლივ საერო კრებას კანონ-პროექტი იმის თაობაზე, რომ მთავარს მომეტებული უფლება მიეცესო.

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. როგორც „Гражданинъ“-ი ამბობს, სახელმწიფო რჩევაში შეუტანიათ წარდგინება იმის თაობაზედ, რომ მომატებული იქმნას საადგილ-მამულო გადასახადი თვრამეტს გუბერნიაში, რომელნიც მდებარეობენ შუა რუსეთში და სამხრეთით; ეს გუბერნიები სხვა გუბერნიებთან შედარებით უფრო მდიდარნი არიან.

პარიჟი. ამბობენ, რომ მინისტრთა რჩევა საკმაოდ არა სცნობს იმ სასჯელს, რომელიც ბულანჟეს მიუსაჯეს; განზრახვა აქვთ ბულანჟე ჩარიცხონ სათავდარიგო ჯარში. ზოგი გაზეთები თანაუგრძნობენ იმ ზომას, რომელიც ბულანჟეს წინააღმდეგ უნდა იხმარონ.

საბიუჯეტო კომისიას შეუტყვია, რომ ბულანჟეს 8 მილიონი ფრანკი დაუხარჯავს პალატთა დაუკითხავად, მაშასადამე კანონის წინააღმდეგ, ჯარის ტანთ-საცმელისათვის, როცა სამხედრო მინისტრად ყოფილა.

გუშინ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტებმა ხმაურობა მოახდინეს იმის წინააღმდეგ, რომ ერთის მანდილოსნისათვის ნება მიუცია ფაკულტეტს ექიმობის ეგზამენის დაჭერისა. ამ წინააღმდეგობის გამო ეგზამენი გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის.

ლონდონი. გუშინ იმ მუშათა გუნდი, რომლებიც უსაქმოდ დარჩნენ, მივიდა ლორდ-მერთან, მაგრამ ლორდ-მერმა მუშები არ მიიღო და არ ინახულა. მაშინ ის გუნდი წავიდა «Standard»-ის რედაქციისაკენ და ხმაურობა დაიწყო; ბოლოს მოვიდა პოლიცია და გაჰფანტა მუშები.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—ულთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

4 დღე კვირა. მოწ. იეროთეოსი. კათოლ. დღესასწაული წმ. როზარიისა, წმ. ქალწულის მარიამისა და წმ. ალმს. ფრანცისკესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17. მთვარე 30 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. ქალწ.-მოწ. ხარიტონისა, ღირსისა გრიგოლ ხანძელისა. კათოლ. ღვთის მსახურება ყველა ანგელოზებისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვის მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 5—16. დაბადება მთვარისა 1 საათსა და 39 წუთზედ.

6 დღე სამშაბათი. წმ. თომა მოციქულისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. ბრუნონისა. სომეხ. წმ. ქალწულთა თეკლესი, ბარბარესი და პელაგიასი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—16, ჩადის 5—14. მთვარე 4 დღისაა.

7 დღე ოთხშაბათი. წმ. სერგოსი და ვაკხოსი. კათოლ. ღვთის-მსახურება წმ. იოსების ყოვლად-წმინდა ქალწულ მარიამზე დანიშნვისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 5—13. მთვარე 3 დღისაა.

8 დღე ხუთშაბათი. ღირს. პელაგიასა და ტაისიასი. კათოლ. წმ. ბირგიტტასი. სომეხ. წმ. პანტელეიმონისა და სხ. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11. მთვარე 4 დღისაა.

9 დღე პარასკევი. მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრაამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონოსიასი, რუსტიკასი და ელევტერიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 5 დღისაა.

10 დღე შაბათი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა მისისა ევლამპიასი. ღირს. თეოფილესი და სხ. კათოლ. სამადლობელო ღვთის-მსახურება ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. წმ. მთარგმნელ ვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ეღიშესი და სხვათა. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 6 დღისაა.

ეკატერინე თომას ასული თორომანოვისა, მარიამ თომას ასული ნადვორნიკოვისა, გაბრიელ გერასიმის ძე თორომანოვი და ალექსი გაბრიელის ძე ნადვორნიკოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მახლობელთა გარდაცვალებას პირველის ორის ძმისას და დანარჩენების სიმამრიშვილისას **პეტრე თომას ძის ბარანსკისას** და სთხოვენ მობრძანდნენ **5-სა ამა ოქტომბერსა ცხრა საათზედ დილით** გვამის გასასვენებლად მის სადგურიდგან, რომელიც იმყოფება სოლოლაკის ქუჩაზე, თაიროვის სახლებში, შუა-ბაზრის კათოლიკეთა ეკლესიაში. (1—1)

Доз. цен. Тиф. 3 окттября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე